

საკონკურსო დოკუმენტაციის დამხმარე სახელმძღვანელო

აღნიშნული სახელმძღვანელო დაგეხმარებათ მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის ფარგლებში წარმოსადგენი განაცხადისა და ანგარიშების ფორმების შევსებაში;

კონკურსის პირობები, განაცხადისა და ანგარიშების ფორმები განთავსებულია სამინისტროს ვებ-გვერდზე: www.moecs.ge;

დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტი:

ელ-ფოსტა: artistsmobility.ajara@gmail.com

ტელ: 422 245382

მისამართი: ბათუმი, გუდიაშვილის ქუჩა №4

„მოზილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ დაფინანსების მოთხოვნის განაცხადის ფორმა
თავფურცელი

მოზილობის (ღონისძიების) სახელწოდება

1. ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ

1.1 განმცხადებლის სტატუსი: ფიზიკური პირი/ფიზიკურ პირთა ჯგუფი/იურიდიული პირი

- ❖ 1.1 პუნქტში უნდა მიეთითოს განმცხადებლის სტატუსი, გთხოვთ, შემოხაზეთ, ხაზი გაუსვით ან დატოვეთ მხოლოდ თქვენი სტატუსი.

1.2 განმცხადებელი: _____

მისამართი:
ინდექსი _____ ქალაქი _____ ქუჩა _____
ტელეფონი: _____
ფაქსი: _____
ელ. ფოსტა: _____

- ❖ 1.2 პუნქტი უნდა შეივსოს როგორც ფიზიკური პირის/პირთა ჯგუფის, ასევე, იურიდიული პირის მიერ;

**1.3 ორგანიზაციის /
შემოქმედებითი ჯგუფის
წარმომადგენლობაზე
უფლებამოსილი პირი:** _____

ტელეფონი: _____
ელ. ფოსტა: _____

ხელმოწერა: _____

- ❖ 1.3 პუნქტი უნდა შეივსოს ფიზიკურ პირთა ჯგუფის ან/და იურიდიული პირის მიერ, სხვა შემთხვევაში აღნიშნული პუნქტი უნდა წაიშალოს;

**1.4 მოზილობაში მონაწილე
ხელმძღვანელი პირი** _____

ტელეფონი: _____
ელ. ფოსტა: _____

ხელმოწერა: _____

- ❖ 1.4 პუნქტი უნდა შეივსოს თუ განმცხადებელი ფიზიკურ პირთა ჯგუფი ან/და იურიდიული პირია და ორგანიზაციის ან/და შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არ გახლავთ მობილობაში მონაწილე ხელმძღვანელი პირი; სხვა შემთხვევაში აღნიშნული პუნქტი უნდა წაიშალოს;

2. მობილობის (ღონისძიების) განხორციელების ვადა და დაფინანსების ოდენობა

2.1 მობილობის დასაწყისი (რიცხვი/თვე/წელი): _____

- ❖ 2.1 პუნქტში უნდა მიეთითოს ღონისძიებაზე გამგზავრების თარიღი;

2.2 მობილობის დასასრული (რიცხვი/თვე/წელი): _____

- ❖ 2.2 პუნქტში უნდა მიეთითოს ღონისძიებიდან დაბრუნების თარიღი;

2.3 სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა (ლარებში): _____

2.4 დაფინანსება სხვა წყაროდან (ლარებში): _____

2.5 მობილობის საერთო ღირებულება (ლარებში): _____

- ❖ 2.5 პუნქტში უნდა მიეთითოს სამინისტროდან მოთხოვნილი თანხისა და სხვა წყაროდან მიღებული დაფინანსების ჯამი;

3. მობილობის/ღონისძიების აღწერა

მობილობის/ღონისძიების აღწერა არის განაცხადის ფორმის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მისი მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ხუთ გვერდს.

- 3.1 პრობლემის განსაზღვრა - აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს არსებული სიტუაციის ანალიზს/საჭიროების დასაბუთებას, იმ კონკრეტული პრობლემის წარმოჩენას, რომლის საპასუხოდაც არის მიმართული მობილობა/ღონისძიება.
- 3.2 მიზანი - აღნიშნული პუნქტი გახლავთ ფართო, ზოგადი დებულება იმის შესახებ, თუ რისი მიღწევა გსურთ. მობილობის მიზანს უნდა წარმოადგენდეს ისეთი სასურველი გარემოს ან პირობების შექმნა, რომელიც ლოგიკურ კავშირშია ზემოთ აღწერილ პრობლემასთან და მიმართული იქნება მისი აღმოფხვრისკენ.
- 3.3 ამოცანები - აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს კონკრეტულ ნაბიჯებს მიზნის მისაღწევად. კერძოდ, უნდა მიუთითოთ რა ამოცანების გადაჭრას, კონკრეტულად რა ტიპის ღონისძიებების გატარებას (დაფინანსების მოპოვება, კულტურის ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებში - კონცერტი, ვორკშოფი, მასტერკლასი, შეხვედრები კულტურის სფეროს წარმომადგენლებთან და სხვა - მონაწილეობა) გეგმავთ განაცხადში მითითებული მიზნის მისაღწევად (მობილობის/ღონისძიების სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება დაისახოს ერთი, ორი ან რამდენიმე ამოცანა).
- 3.4 განხორციელების გზები - აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს დასმული ამოცანების შესასრულებლად საჭირო კიდევ უფრო კონკრეტულ ნაბიჯებს. განხორციელების გზები არის პროცესი, რომელმაც უნდა უპასუხოს შემდეგ კითხვას: რა კონკრეტულ აქტივობებს გეგმავთ მიზნის მისაღწევად საჭირო ამოცანების გადასაჭრელად? აღნიშნულ ნაწილში უნდა მიუთითოთ კონკრეტული ფაქტები - რამდენი პიროვნება, რამდენ აქტივობაში მიიღებს

მონაწილეობას კულტურის ღონისძიების ფარგლებში, ასევე მიუთითოთ სხვა საჭირო და საინტერესო დეტალები მობილობის სპეციფიკიდან გამომდინა

4. განრიგი

აღნიშნული პუნქტი უნდა მოიცავდეს მობილობის დროში განაწილებულ მსვლელობას. მასში უნდა აისახოს მობილობის განსახორციელებლად გასაწევი, ეტაპებად დაყოფილი საქმიანობა განაცხადის ფორმაში მოცემული ცხრილის (დღეების, კვირების, კვარტლების) მიხედვით, მობილობის სპეციფიკის შესაბამისად.

მაგალითად:

აქტივობა / დრო	მარტი	მარტი	მარტი	მარტი	მარტი	მარტი
ღონისძიებაზე გამგზავრება	10					
ღონისძიების დაწყება		11				
მიმდინარე აქტივობები			12-14			
ღონისძიების დასრულება				15		
ღონისძიებიდან გამომგზავრება					16	
უკან დაბრუნება						17

5. მოსალოდნელი შედეგების აღწერა

- 5.1 **მოსალოდნელი შედეგი** - აღნიშნულ პუნქტში უნდა აღიწეროს ის სავარაუდო ეფექტი ან მოსალოდნელი შედეგი, რაც მოჰყვება მობილობის წარმატებით განხორციელებას.
- 5.2 **რაოდენობრივი ინდიკატორი** - აღნიშნულ პუნქტში უნდა დასახელდეს შედეგის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებელი, მაგ.: მობილობაში მონაწილეთა რაოდენობა, მაცურებლის რაოდენობა, ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების რაოდენობა;
- 5.3 **თვისობრივი ინდიკატორი** - აღნიშნულ პუნქტში უნდა დასახელდეს შედეგის შეფასების თვისობრივი მაჩვენებელი, მაგ.: მობილობის შედეგების შეფასება ბენეფიციარის პროფესიული განვითარების თვალსაზრისით;

6. ბიუჯეტი

მობილობის ბიუჯეტი/ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს განაცხადის ფორმაში მოცემული ცხრილის სახით. ბიუჯეტი უნდა შეიცავდეს მხოლოდ იმ მომსახურების/საქონლის შესყიდვის სფეროებს, რომლებიც შეესაბამება მობილობის მიზნებს/ამოცანებს და უნდა იყოს შესაბამისობაში მობილობით გათვალისწინებული აქტივობებთან.

მაგალითად:

მომსახურების/საქონლის დასახელება	საცალო ღირებულება (ლარი)	რაოდენობა	სამინისტროდან მოთხოვნილი თანხა (ლარი)	დაფინანსების სხვა წყაროდან მოთხოვნილი თანხა, არსებობის შემთხვევაში (ლარი)	სულ (ლარი)
ღონისძიებაზე რეგისტრაციის / მონაწილეობის ხარჯი	1 000	2 პირი	2 000	-	2 000
საჰაერო ტრანსპორტირების ხარჯი: ქ. თბილისი - ქ. ვენა - ქ. თბილისი	700	2 პირი	1 400	-	1 400
განთავსების ხარჯი	150	2 პირი, 6 ღამე	1 800	-	1 800
კვებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯი	85	2 პირი, 7 დღე	1 190	-	1 190
პოლიგრაფიული მომსახურების - ბუკლეტების ბეჭდვის ხარჯი	10	50 ცალი	500	-	500
სახმელეთო ტრანსპორტირების ხარჯი: ქ. ბათუმი-ქ.თბილისი - ქ. ბათუმის ხარჯი	50	2 პირი,	-	100	100
სულ			6 890	100	6 990

„მობილობის ხელშეწყობის საგრანტო კონკურსის“ ფარგლებში
ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული ღონისძიების შესახებ
სამინისტროში წარსადგენი

საბოლოო პროგრამული ანგარიშგების ფორმა

- ❖ საბოლოო პროგრამული ანგარიშგების ფორმის აღნიშნული ნაწილის შესავსებად უნდა იხელმძღვანელოთ განაცხადის ფორმაში თავდაპირველად მითითებული მონაცემებით.

მობილობის/ღონისძიების
სახელწოდება:

დაწყების თარიღი:

დასრულების თარიღი:

მობილობის მიზანი:

1. მიაღწიეთ თუ არა დასახულ მიზანს?
2. გთხოვთ, მოგვაწოდოთ კონკრეტული ინფორმაცია მობილობის ფარგლებში განხორციელებული აქტივობების შესახებ, თარიღების მითითებით.
3. რა შედეგებს მიაღწიეთ მობილობის ფარგლებში თვისობრივი და რაოდენობრივი სახით?

საბოლოო ფინანსური ანგარიშგების ფორმა

ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის რეესტრი

- ❖ საბოლოო ფინანსური ანგარიშგების აღნიშნულ ნაწილში უნდა მოხდეს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების (ზედნადები, ანგარიშფაქტურა, საგადახდო დავალება, საჭიროების შემთხვევაში - ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან, ინვოისი, ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი, უწყისი, სალარო შემოსავლისა და გასავლის ორდერის) წარმოდგენა ფინანსური ანგარიშგების ფორმაში მოცემული ცხრილის სახით. კონკრეტულ შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იყოს ხარჯის ფაქტობრივი მდგომარეობა და ის დოკუმენტი, რითაც დადასტურდება პროექტის ფარგლებში გაწეული ფაქტობრივი ხარჯი სამინისტროსა და მობილობის განმახორციელებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვის დაცვით.

მაგალითად:

№	ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის პუნქტი *	საცალო ღირებულება	რაოდენობა	თანხა	ინფორმაცია ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესახებ **
1	ლონისძიებაზე რეგისტრაციის / მონაწილეობის ხარჯი	1 000	2 პირი	2 000	ლონისძიებაზე რეგისტრაციის დამადასტურებელი ინვოისი და გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
2	ავიატრანსპორტირების ხარჯი: ქ. ქუთაისი - ქ. ვენა - ქ. ქუთაისი	700	2 პირი	1400	ავიაბილეთების ელ ვერსია, ჩასხდომის ბარათები, პასპორტის სურათიანი და ბეჭდიანი გვერდების ასლები, ბილეთების ღირებულების ამსახველი ინვოისი, ბილეთების შესყიდვის დამადასტურებელი ქვითარი;
3	განთავსების ხარჯი	150	2 პირი, 6 ღამე,	1 800	სასტუმროში განთავსების დამადასტურებელი ინვოისი და გადახდის ქვითარი (1800 ლარის ღირებულების ეკვივალენტი ევროში).
4	კვებისა და შიდა ტრანსპორტირების ხარჯი	85	2 პირი, 7 დღე	1 190	აღნიშნული ოდენობა გაანგარიშებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5

					აპრილის №220 ბრძანების ფარგლებში, ამდენად, არ საჭიროებს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას.
5	პოლიგრაფიული მომსახურების - ბუკლეტების ბეჭდვის ხარჯი	10	50 ცალი	500	ბეჭდვის ღირებულების ამსახველი ინვოისი, გადახდის დამადასტურებელი ქვითარი, ზედნაღები;
სულ					6 890

*მიუთითეთ მომსახურების/ საქონლის დასახელება.

**მიუთითეთ ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი ან სხვა მონაცემი.

მობილობის საერთო ბიუჯეტი: **6 990 ლარი**

სამინისტროდან მიღებული თანხა: **6 890 ლარი**

ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვის მიხედვით ფაქტობრივად **6 990 ლარი** გახარჯული თანხის ოდენობა:

მე, გრანტის მიმღები/ზემოაღნიშნული პროექტის ხელმძღვანელი (სახელი და გვარი), პირადი ნომერი №_____ (ან წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (სახელი და გვარი) პირადი ნომერი №_____) მოქმედი კანონმდებლობის წინაშე პასუხისმგებელი ვარ რეესტრში მითითებული თანდართული ფორმით წარმოდგენილი პირველადი საბუღალტრო დოკუმენტაციის ასლების უტყუარობასა და სისწორეზე, რითაც დასტურდება პროექტის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების მიზნობრივი ხარჯი. ვადასტურებ, რომ აღნიშნული დოკუმენტების ორიგინალები ინახება ჩვენს ორგანიზაციაში, რასაც ვადასტურებ ხელმოწერით.

შენიშვნა: ფიზიკური პირის შემთხვევაში უნდა მოხდეს პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების ორიგინალების წარმოდგენა.

მობილობაში მონაწილე პირ(ებ)ი:

სახელი, გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

- ❖ აღნიშნული პუნქტი უნდა შეივსოს ფიზიკური პირ(ებ)ის - ინდივიდუალური შემსრულებლ(ებ)ის მიერ, სხვა შემთხვევაში აღნიშნული პუნქტი უნდა წაიშალოს;

ორგანიზაციის / შემოქმედებითი ჯგუფის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

სახელი, გვარი: _____

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

- ❖ აღნიშნული პუნქტი უნდა შეივსოს ფიზიკურ პირთა ჯგუფის ან/და იურიდიული პირის მიერ, სხვა შემთხვევაში აღნიშნული პუნქტი უნდა წაიშალოს;